

2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-5 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვთა თანრიგების, სივრცული და ბრტყელი ფიგურების, არითმეტიკისა და მისი საშუალებით ამოცანების ამოხსნის თემატიკებზე.

- **რიცხვთა თანრიგები**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვთა თანრიგების ამოცნობა.

მაგალითი: რომელი ციფრია ათასეულების თანრიგში: 15678?

A) 5

B) 6

C) 1

- **რიცხვების შეკრება, გამოკლება და შედარება**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების პატარა რიცხვებზე გამრავლება ან გაყოფა, ნაშთის პოვნა და რიგ შემთხვევაში მათი შედარება.

მაგალითი: რომელია ნაკლები $3 \cdot 12$ თუ $4 \cdot 11$?

A) ტოლია


B) $3 \cdot 12$

C) $4 \cdot 11$

- **სივრცული და ბრტყელი ფიგურები**

- მოსწავლემ უნდა იცოდეს ზოგიერთი სივრცული და ბრტყელი ფიგურა. სივრცული ფიგურების წიბოების, წვეროების და ნახნაგების რაოდენობა.

მაგალითი: რომელია სივრცული ფიგურა მოცემულ სურათზე?



- **ამოცანების ამოხსნა რიცხვთა მოქმედებებით**

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ამოცანების ამოხსნა რიცხვებზე სწორი მოქმედებების (მიმატება, გამოკლება, მარტივი გამრავლება და გაყოფა) შერჩევითა და გამოყენებით.

მაგალითი: 3 წლის შემდეგ ნიკო ნინოზე ორჯერ უფროსი იქნება, 1 წლის წინ კი სამჯერ უფროსი იყო. რამდენი წლისაა ნიკო?

A) 12-ის

B) 13-ის

C) 16-ის